საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თამარ მეფის ისტორიკოსები

თამარ მეფის ისტორიკოსები, XII–XIII სს. ორი უცნობი ავტორი, რომელთაც ეკუთვნით თხზულებები საქართველოს მეფის თამარის შესახებ. პირველი ისტორიკოსის თხზულებაში აღწერილია ძირითადად თამარის, ხოლო მოკლედ – მისი მამის, გიორგი III-ის ისტორია. რადგან სათაური დაკარგულია, ივ. ჯავახიშვილმა მას უწოდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ეკუთვნის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" (სათაური პირობითია), რ-შიც აღწერილია ამ გვირგვინოსნის მეფობის მთელი ისტორია.